



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1231
22/06/2018

ქალაქი ბათუმი

1231-05-4-201806221247



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ აჭარისაღმართში დამონტაჟებული სუვენირებისა და სხვა პროდუქტების გამოფენა-გაყიდვისათვის გათვალისწინებული სავაჭრო დახლის, ადმინისტრაციულ ერთეულებთან ურთიერთობის განყოფილების III რანგის I კატეგორიის უფროს სპეციალისტზე მაჭახლის ადმინისტრაციულ ერთეულში გელა მალაყმაძეზე მიმაგრების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, 2017 წლის 20 ოქტომბრის ხელშეკრულების, 2018 წლის 30 მაისს გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ქონების მართვის განყოფილების ხელმძღვანელის ა. ბაჟაშვილის 2018 წლის 13 ივნისის N1704-05 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე ვბრძანებ:

1. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ აჭარისაღმართში დამონტაჟებული სუვენირებისა და სხვა პროდუქტების გამოფენა-გაყიდვისათვის გათვალისწინებული სავაჭრო დახლი, მოვლა-პატრონობის მიზნით მიემაგროს ადმინისტრაციულ ერთეულებთან ურთიერთობის განყოფილების III რანგის I კატეგორიის უფროს სპეციალისტს მაჭახლის ადმინისტრაციულ ერთეულში გელა მალაყმაძეს;
2. დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ქონების მართვის განყოფილებას (ა. ბაჟაშვილი) უზრუნველყოს ბრძანებაში დასახელებული სავაჭრო დახლის შესაბამის პირზე მიკუთვნება სათანადო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი N358) მისი გაცნობიდან ერთვი თვის ვადაში.
4. ბრძანება ძალაში ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა